საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№121 (6347) 9 ოქტომბერი 1990 წელი სამშაბათი ფასი 3 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

პირველი მრავალპარტიული არჩევნები

* საუბნო საარჩევნო კომისია

II გვ.

ჯერ მომავალი წინაა

* ინტერვიუ გიორგი კვირკაშვილთან

II-III გვ.

* როგორი პარტნიორებიც ვართ...

III გვ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება

საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პირველი რიგის ღონისძიებათა შესახებ

იმ მიზნით, რომ გაფართოვდეს საწარმოთა ეკონომიკური დამოუკიდებლობა და გაძლიერდეს მათი დაინტერესება პროდუქციის გამოშვების გადიდებით, ამაღლდეს წარმოების ეფექტიანობა, შეიქმნას საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პირობები, ვადგენ:

1. დაიწყო სახალხო მეურნეობაში სახელშეკრულებო საბითუმო ფასების ფართო გამოყენება. 1991 წლის ხელშეკრულებათა დადებისას აღნიშნული ფასები განისაზღვრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 14 ივნისის №741 დადგენილების შესაბამისად შემუშავებული საბითუმო ფასების საფუძველზე.

2. იმ მიზნით, რომ სახელშეკრულებო ფასების ფართო გამოყენებაზე გადასვლის შედეგად თავიდან ავიცილოთ საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის ფასების საერთო დონის დაუსაბუთებელი ზრდა, გათვალისწინებულ იქნეს რენტაბელობის ზღვრული დონის შემოღება, ამასთან მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ამ დონის გადამეტებით მიღებული მთელი მოგება თანაბრად ჩაირიცხება საკავშირო და რესპუბლიკურ ბიუჯეტებში.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მათი კომპეტენციის შესაბამისად ათი დღის ვადაში:

დაადგინონ ნედლეულის, კონსტრუქციული მასალებისა და საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების სხვა პროდუქციის ნუსხა, რომელთა მიმართ გამოიყენება ფიქსირებული საბითუმო ფასები, და დაამტკიცონ მათი დონე;

განსაზღვრონ საწარმოთა რენტაბელობის ზღვრული დონის აღრიცხვისა და ამ დონის გადამეტებით მიღებული მოგების ამოღების წესი.

4. გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის იმ შენატანების ტარიფების ეტაპობრივი გადიდება, რომლებსაც იხდიან საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, „სსრ კავშირში მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" სსრ კავშირის კანონის რეალიზაციის იმ ვადების გათვალისწინებით, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილებით „სსრ კავშირში მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე", და ამასთან დაკავშირებით დაწესდეს აღნიშნული ტარიფები 1991 წელს 26 პროცენტის ოდენობით.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი

მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 4 ოქტომბერი.

ლაჯანელი პაშა მეშველიანი 15 წელია, რაც ალპანის სამკერვალო საწარმოში მუშაობს და ყოველთვის წარმატებით ასრულებს მინდობილ საქმეს.

პროფესიას თავიდანვე კარგად დაეუფლა. საწარმოში ახლა მამაკაცის ქურთუკებს კერავენ. პაშა ერთ ოპერაციაზე—ჯიბის დაგვირისტებაზეა დასაქმებული, ხარისხითაც გამორჩეულია მისი ნახელავი და ყოველთვიურ გეგმას 100-105 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: ალპანის სამკერვალო საწარმოს მოწინავე მკერავი პაშა მეშველიანი.

ზ. გზობავას ფოტო.

გეგმა — ვადამდე

ნაყოფიერი გამოდგა წლის განვლილი 9 თვე რაიონის კინოქსელის მუშაკებისათვის, რომლებიც სისტემატურად ასრულებენ როგორც სეანსების ჩატარების, ისე მაყურებელთა დასწრებისა და სანახაობიდან შემოსავლების გეგმებს.

9 თვეში სანახაობიდან შემოსავალმა 22-ათას მანეთს გადააჭარბა, როცა გეგმა 17700 მანეთია.

მარტო ქალაქის კინოთეატრმა 9 თვის გეგმა 143 პროცენტით გაანაღდა. 8 ათასი მანეთის ნაცვლად შემოსულია 11500 მანეთი, რაც განაპირობა მაყურებელთა სურვილით რეპერტუარის შერჩევამ.

რაიონის კინოფიკატორები წლიური გეგმის შესრულებას ოქტომბრის თვის ბოლომდე ვარაუდობენ.

პერსონალურ პენსიონერთა საყურადღებოდ

სსრ კავშირის კანონების—„სსრ კავშირის მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" და „სამხედრო მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ", აგრეთვე პერსონალური პენსიების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 19 დეკემბრის №1128 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით პერსონალური პენსიების ოდენობის განსაზღვრისადმი ერთიანი მიდგომის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალა 1990 წლის 1 ოქტომბრიდან გადაანგარიშდეს სამამულო ომის ინვალიდებზე, სხვა ომის მონაწილეებზე და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებზე დანიშნული პერსონალური პენსიები. ახალი საპენსიო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გადაანგარიშების შემთხვევაში პერსონალურმა პენსიებმა შეიძლება გადააჭარბოს პერსონალური პენსიების შესახებ დებულებით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას.

ამასთან დაკავშირებით ცაგერის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება გთხოვთ რაიონში მცხოვრებ სამამულო ომის ინვალიდებს, ომის სხვა მონაწილეებსა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს, რომლებსაც პერსონალური პენსიები აქვთ დანიშნული, განყოფილებაში დაუყოვნებლივ წარმოადგინოს ყოველგვარი მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტები; მათ შორის უმაღლეს თუ ტექნიკურ სასწავლებელში სწავლის პერიოდის ჩათვლით, რომელთა შესახებ სათანადო დოკუმენტები მათ საპენსიო საქმეებში არ არსებობს, ამასთან ხელფასის ცნობები უკანასკნელი 15 წლიდან ნებისმიერი 5 წლისა, ანდა პენსიის დანიშვნის შემდეგ 2 წლის, და ცნობა სამხედრო კომისარიატიდან სამამულო ომში მონაწილეობის შესახებ.

ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალურ პენსიონერთა პენსიების გადაანგარიშება მოხდება სოცუზრუნველყოფის ცაგერის რაიგანყოფილების მიერ, ხოლო საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიების გადაანგარიშება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პერსონალური პენსიების დამნიშვნელი კომისიის მიერ განყოფილებიდან წარდგენილი ცნობების საფუძველზე.

ნ. ცვარიანი,

ცაგერის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე.

წლის ფინიშთან — პირნათელნი

ქვეყნის სასიცოცხლო ძარღვის—გზის მშენებლობის და მოვლა-პატრონობის საქმეს მთელი შესაძლებლობით ემსახურება საგზაო-სამმართველოს შრომითი კოლექტივი (უფროსი ო. გიორგობიანი), არის შედეგიც: წლის განვლილი პერიოდის საერთო გეგმა 102, 4 პროცენტით არის შესრულებული.

გზების კაპიტალურ შეკეთებას მოხმარდა 191 ათასი მანეთი 185 ათასის ნაცვლად. საშუალო შეკეთებაზე დახარჯულია 155 ათასი მანეთი, როცა გეგმა 150 ათას მანეთს ითვალისწინებდა. გზების მოვლა-შენახვას მოხმარდა 201 ათასი მანეთი, რაც 6 ათასი მანეთით ჭარბობს დაგეგმილს... წარმატებით შესრულდა კაპიტალურ მშენებლობაზე დაგეგმილი 170 ათასი მანეთის სამუშაო.

გზების მშენებლობისა და მოვლა-პატრონობის საქმეს ერთგულად ემსახურებიან სამუშაოთა მწარმოებლები მურმან სილაგაძე და ჯუმბერ გაბისონია, გზის ოსტატები დავით გვიშიანი და რენო დავითულიანი, მშენებელი ოსტატი იური სილაგაძე.

მიუხედავად მუშაობაში არსებული მრავალნაირი სიძნელეებისა, გზის მუშაკები ხელსაყრელ ამინდს ნაყოფიერად იყენებენ და გადაწყვეტილი აქვთ წლის ფინიშთან შრომაში გამარჯვებული მივიდნენ.

პირველი მრავალპარტიული არჩევნების წინ

საუბნო საარჩევნო კომისია

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო უბნის შექმნის შემდეგ არჩევნებისათვის მზადების შემდეგი ეტაპი არის საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში კანდიდატურების წამოყენება და ამ კომისიების დამტკიცება საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიაში.

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ჩასატარებლად იქმნება საარჩევნო კომისიები:

ა) საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია;

ბ) საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები;

გ) საუბნო საარჩევნო კომისიები.

„საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ" საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონის 26-ე მუხლის მიხედვით საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიები იქმნება კომისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნისა და არანაკლებ 2 წევრისაგან, საარჩევნო უბნების სიის გამოქვეყნებიდან არა უადრეს მე-6 და არა უგვიანეს მე-7 დღისა. კომისიის წევრთა მინიმალურ რაოდენობას განსაზღვრავს საოლქო საარჩევნო კომისია.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და 2 წევრს ნიშნავს საოლქო საარჩევნო კომისია მის ტერიტორიაზე მოქმედი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების პრეზიდიუმების ან აღმასრულებელი კომიტეტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, ამ ტერიტორიაზე განლაგებული შრომითი კოლექტივების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივების, ამომრჩეველთა ჯგუფების წინადადებათა გათვალისწინებით.

საუბნო საარჩევნო კომისიის თითო წევრი შეუძლიათ დანიშნონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულმა პარტიებმა, საარჩევნო ბლოკებმა.

თუ საარჩევნო უბნების სიის გამოქვეყნებიდან მე-6 დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა დადგეხილზე ნაკლები აღმოჩნდა, საოლქო საარჩევნო კომისია მისი შემადგენლობის შესავსებად 2 დღის ვადაში ნიშნავს კომისიის დამატებით წევრებს.

განცხადებანი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად წარდგენისა და დანიშვნის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარედგინოს საარჩევნო უბნების სიის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა.

კომისიის შექმნიდან 2 დღის ვადაში იგი თავის წევრთაგან არჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს და დაუყოვნებლივ ატყობინებს საოლქო საარჩევნო კომისიას.

საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადა მთავრდება არჩევნების დამთავრებისთანავე.

ამ დღეებში საარჩევნო კანონის შესაბამისად შეიქმნა საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №79 საარჩევნო ოლქის საუბნო საარჩევნო კომისიები, რომელთა შემადგენლობები გამოქვეყნდა რაიონულ გაზეთში.

საუბნო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებანია:

შეადგინოს უბნის მიხედვით ამომრჩეველთა სიები, ამომრჩეველებს გააცნოს ამომრჩეველთა სიები, მიიღოს და განიხილოს განცხადებები სიებში უსწოროებათა შესახებ და გადაწყვიტოს მათში სათანადო ცვლილებათა შეტანის საკითხები; ამომრჩეველებს მისცეს ამომრჩევლის ბარათი და მოთხოვნისა ხმის მიცემის უფლების მოწმობა; აუწყებს მოსახლეობას საუბნო საარჩევნო კომისიის ადგილსამყოფელს და მისი მუშაობის დროს, აგრეთვე არჩევნების დღესა და ხმის მიცემის ადგილს; უზრუნველყოფს ხმის მისაცემად შენობის, საარჩევნო ყუთებისა და კაბინების, საინფორმაციო სტენდების მომზადებას; ორგანიზაციას უწევს საარჩევნო უბანში ხმის მიცემას არჩევნების დღეს, ადგენს საარჩევნო უბანში არჩევნების მონაწილეთა და ხმის მიცემის მონაწილეთა რიცხვს, დეპუტატობის ყოველი კანდიდატისა და კანდიდატთა ყოველი სიისათვის მიცემული ხმების რაოდენობას; განიხილავს განცხადებებსა და საჩივრებს არჩევნების მომზადებისა და კენჭისყრის ორგანიზაციის საკითხებზე და იღებს სათანადო გადაწყვეტილებებს; ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს კანონის შესაბამისად.

ამ უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭიროა სათანადო მომზადება. ეს პირველ რიგში ეხება შენობის მოწყობას, სადაც ამომრჩევლებისათვის მაქსიმალურად უნდა იყოს შექმნილი ხმის მისაცემად მოხერხებული პირობები.

საარჩევნო უბანში აუცილებელია შემოღებული იყოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და კონსულტანტთა სადღეღამისო მორიგეობა.

ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების დღეს—28 ოქტომბერს ყველა ამომრჩეველი გამოცხადდეს საარჩევნო ყუთთან და განახორციელოს მისი მოქალაქეობრივი უფლება.

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

კითხვა: 20 წელია ორბელის საშუალო სკოლაში ვმუშაობ მეუღლესთან ერთად მასწავლებლად. ვცხოვრობ ოთხბინიან საცხოვრებელ სახლში, რომელიც ამჟამად ორბელის სასოფლო საბჭოს ბალანსზეა. სამუშაო ადგილს ჩემი საკუთარი საცხოვრებელი სოფელი ქორენიში დაშორებულია 35 კილომეტრით, სადაც წასვლა შეგვიძლია მხოლოდ შაბათს გაკვეთილების შემდეგ და კვირას ისევ უნდა დავბრუნდეთ. მყავს სამი შვილი.

გთხოვთ განმიმარტოთ, შემიძლია თუ არა მივმართო ორბელის სასოფლო საბჭოს აღმასკომს ჩემი საცხოვრებელი ბინის შესყიდვის შესახებ.

ბ. ქოგულაძე,

ორბელის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

პასუხი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 25 იანვრის №35 დადგენილებით „მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლებისა და ბინების პირად საკუთრებაში მიყიდვის და მათი მოვლა-შენახვა, რემონტი ნაჯების ანაზღაურების შესახებ" სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს უფლება აქვთ მიყიდონ მოქალაქეებს პირად საკუთრებაში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლები ან ბინები, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საბინაო ფონდში რიცხულ სახლებში. მაგრამ ამასთან მითითებულია, რომ მოქალაქეთათვის პირად საკუთრებაში ბინების მიყიდვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ერთ ოჯახს უფლება აქვს დაიკავოს მხოლოდ ერთი ბინა, ან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი. გამომდინარე, აქედან ორბელის სასოფლო საბჭო ვერ დააკმაყოფილებს თქვენს თხოვნას, რადგან თქვენ ფლობთ საკუთარ საცხოვრებელ სახლს სოფელ ქორენიში და ამასთან ბინა, რომლის შესყიდვასაც ითხოვთ არის ორბელის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე, აქედან არც ერთი არ შეიძლება ჩაითვალოს აგარაკად.



პოლონეთი. მზის იაფი ენერგია სულ უფრო აქტიურად დგება ადამიანის სამსახურში. პოლონეთის ბევრი მეურნეობა სასოფლო-სამეურნეო ნაგებობების აღჭურვისას ფართოდ იყენებს მზის ბატარეებს.

სურათზე: მეღორეობის ფერმა, რომლის სახურავზე სათავსოს გასათბობად განლაგებულია მზის ბატარეები. ამ ტიპის სხვა ნაგებობებიცაა: საძროხე, მარცვალსაშრობი, თივის საშრობი.

ჯერ

ახალგაზრდობის ლენინურმა კომუნისტურმა კავშირმა ანუ ალკა-მ, როგორც ორგანიზაციამ არსებობა შეწყვიტა. მის გაზაზე ახლა ძალას იკრებს და უალიგდება სრულიად ახალი ორგანიზაცია, ჯერჯერობით ახალგაზრდობის კავშირად მონათლული. იგი სულ სამი თვის შექმნილია და 312 წევრს აერთიანებს. თუ რამდენად გამართლებულია მისი კომკავშირის გაზაზე შექმნა და ასეთი მასობრივი სახელის მინიჭება, ეს ცალკე საუბრის თემაა. მაგრამ ახლა საინტერესოა, რა მიზნებს ისახავს ეს ახლადშექმნილი ორგანიზაცია, რა პერსპექტივები აქვს და შესძლებს თუ არა იგი კომკავშირისაგან მემკვიდრეობად ახალგაზრდობის თავისკენ შემობრუნებას? ამის გასარკვევად რამდენიმე შეკითხვით გავესაუბრე ამ ორგანიზაციის თავმჯდომარეს გიორგი კვირკაშვილს.

ჯერ კიდევ გუშინ ყველაფერი ფორმალურად კეთდებოდა, ნათქვამი ქაღალდზე რჩებოდა და მხოლოდ ტაშისთვის იყო გამიზნული. ახლა თითქოს რაღაც შეიცვალა, ჯერ-ჯერობით მხოლოდ ნაწილობრივ დაიღალა ახალგაზრდობა. უკვე აღარ სჯერა ნაღდი სიტყვისაც კი. საინტერესოა თქვენი პოზიცია, როგორც ახალგაზრდის და შემდგომ, როგორც ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარის, რას აპირებთ, გეიმედებათ, რომ შეძლებთ აიყოლიოთ და გაიყოლიოთ ახალგაზრდობა?

—დღეევანდელ სიახლეებში ერთ დადებით ტენდენციას ვხედავთ. ასეა თუ ისე, ადამიანებმა, მათ შორის ახალგაზრდობამ, ვაბედეს ხმის ამოღება, სიმართლის თქმა, ეს უდავოდ გამარჯვებაა დემოკრატიზაციისა და საჯაროობის გზაზე. თუმცა პრაქტიკული შედეგები არ ჩანს, რასაც აგონიამდე მიჰყავს საზოგადოება. სრული ქაოსი, უიმედობა, ეკონომიკური სიძნელეები სახელს უტეხს იმასაც, რაც სიცოცხლის ფასად იქნა მიღწეული.

ადამიანთა გარკვეული ნაწილი დღეს სოციალურ-კულტურული ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე უფრო მეტს ზრუნავს, ვიდრე თუნდაც ჰეშმარიტი ეროვნული მოძრაობისადმი მხარდაჭერისა და საქართველოს თვითმყოფადობის მიღწევაზე.

საქართველოს ახალგაზრდულმა კავშირმა, როგორც დამოუკიდებელმა არაპოლიტიკურმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ ხელი მოჰკიდა ახალგაზრდობის ეროვნული, სოციალურ-კულტურული ინტერესებისათვის ზრუნვის საქმეს.

ეყრდნობა რა ზოგადსაკაცობრიო იდეალებს, ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციის პრინციპებს, ახალგაზრდული კავშირი მოღვაწეობს სრულიად საქართველოსთვის. მისი უმთავრესი მიზანი ეროვნულობა, ჰუმანიზმის ჰეშმარიტი პრინციპების დაფუძნებაა.

ანალოგიური მიზნები გააჩნია ახალგაზრდული კავშირის რაიონულ ორგანიზაციას. რაც შეეხება, ახალგაზრდობის მხარდაჭერის მიღწევას, ამას მაშინ შევძლებთ, როცა ახალგაზრდობა დაინახავს ჩვენს საქმიანობაში გარკვეულ შედეგს.

მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი.

როგორ თავსდება თქვენში ორი მცნება: „პარტიულობა" და „ეროვნულობა?"

—მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური პარტია საქართველოში ამ ბოლო დროს ცდილობს **დადგეს ეროვნულ** პოზიციაზე, ბევრი რამ ჯერ კიდევ ბუნდოვანია და გაურკვეველი.

ამიტომ ნებისმიერ პიროვნებაში სკკპ წევრობა და ეროვნული იდეალებისათვის სამსახური შეუძლებელია გარკვეულ წინააღმდეგობებს არ იწვევდეს.

მე კომუნისტურ პარტიაში იმ ფრთას ვუჭერ მხარს, ვინც მტკიცედ იბრძვის ჰეშმარიტად დამოუკიდებელი საქართველოს კომპარტიის, როგორც პარლამენტური პარტიის, უკეთეს შემთხვევაში, ახლანდელი კომპარტიის ბაზაზე სოციალისტური ტიპის რესპუბლიკური პარტიის ჩამოყალიბებისათვის.

ჩემი აზრით, საქართველოს კომუნისტური პარტია, რა ორიენტაციის არ უნდა იყოს იგი, მაინც ეროვნული ინტერესებიდან გამოვა, მით უმეტეს დღევანდელ სიტუაციაში, ხოლო ამის მორალური უფლება მას ექნება.

რაც შეეხება ჩემს ლტოლვას სოციალისტური პარტიისადმი, იმით ვიმართლებთ თავს, რომ არ ვგულისხმობ სოციალიზმის იმ მოდელისადმი სწრაფვას, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ. ის სოციალიზმი უნდა იყოს ჩვენი მიზანი, რომლის წყალობით დღეს აყვავების სტადიაშია ცივილიზებული ევროპის ქვეყნები.

თვალი გადავავლე საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პლენუმზე (გასული წლის დეკემბერი) თქვენს გამოსვლას, სადაც ერთი მომენტი მენიშნა: „უაზრობა იქნებოდა - ის თქმა, რომ კომკავშირს არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში არ უკეთებია კეთილი საქმეები". ახლაც ამას ფიქრობთ? და თუ ასე ფიქრობთ, მაინტერესებს თქვენი მდივნობის პერიოდში კონკრეტულად რა საქმე გაკეთეთ?

არ იფიქროთ, ძველის კოსმეტიკის მომხრე ვიყო. თუმცა ნებისმიერ უარყოფით მოვლენასაც აქვს დადებითი მომენტები, რომელსაც გონიერი. კაცი კი არ დაივიწყებს, არამედ ახალი ცხოვრების შენებისათვის გამოიყენებს.

უაზრობა იქნებოდა კომკავშირის ისტორიაში არსებული ჰეშმარიტად ღირსახსოვარის მიჩქმალვა, ასევე უნდა ვამხილოთ ყოველივე მანკიერი, რაც შავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა და ოჯახი

ოჯახი, შვილები, მათი აღზრდა ყოველთვის იყო საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი, ისტორიული განვითარების ყველა პერიოდში ის ქვეყანა იყო ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი, რომელსაც უკეთ ჰქონდა გადაწყვეტილი ოჯახის პრობლემა და გონივრულად ზრდიდა ახალ თაობას.

დღევანდელი ბავშვები უფრო მეტს ხვდებიან, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. შეიძლება ყველაფერი ზუსტად ვერ გაანალიზონ, ვერ შეაფასონ სიტუაცია, მაგრამ მათ ინტუიცია არ ღალატობთ, სწორედ ამიტომაც მოეთხოვება

როგორი პარტნიორებიც ვართ

მასწავლებელს, პირველ რიგში, მშობლებთან ინდივიდუალური მუშაობა, ბავშვთა საოჯახო პიროზების შესწავლა, თითოეული ბავშვის ზუსტი, ობიექტური შეფასება. მასწავლებლისთვის გართულდა ბავშვებთან ურთიერთობა. თანამედროვე მოსწავლე უფრო განათლებული და მომთხოვნია, ამიტომ აუცილებელია აღმზრდელმა ეძიოს ბავშვებთან ურთიერთობის ახალი გზები. ეს კი ყოველთვის ადვილი არ არის. ახალი სიტუაცია ახლებურ დამოკიდებულებას მოითხოვს. ამას უნდა შეეგუოს ყველა მასწავლებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალია კონფლიქტი ჯერ ბავშვთან და შემდეგ მის მშობლებთან. აღზრდაში დამატებით სიძნელეებს ქმნის ისიც, რომ შეიცვალა თანამედროვე ოჯახიც, გართულდა ურთიერთობა ოჯახის შიგნით და ამით გამოწვეული პრობლემები.

მასწავლებლები და მშობლები, როგორც პარტნიორები ბავშვის აღზრდის საქმეში, ერთმანეთს ავსებენ. მათი შეთანხმებული, თანმიმდევრული მუშაობით ბევრი სიკეთის გაკეთება შეიძლება. საზოგადოების მოთხოვნების შესაფერისი ახალი თაობის აღზრდის საკითხის ეფექტური გადაჭრა

დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან მთავარი აღმზრდელობითი ძალები—პედაგოგები და მშობლები, და აქტიური მოკავშირეები არიან ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში, მოწინააღმდეგეები, თუ პასიურად აკვირდებიან მეორე მხარის მოქმედებას.

სასკოლო პრაქტიკამ დაგვანახა, რომ სკოლისა და ოჯახის შეუთანხმებლობის შემთხვევაში ფაქტიურად აღსაზრდელი ზარალდება და ოჯახური აღზრდის სირთულე უშუალოდ არის დაკავშირებული მშობელთა პედაგოგიური კულტურის დონესთან.

ამ ბოლო წლებში საგრძნობლად შეიცვალა მშობელთა პედაგოგიური კულტურის დონე, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც უამრავი საკითხი რჩება გასარკვევი.

ამჟამად ასეთი ვითარება შეინიშნება: ბავშვები უფრო აქტიურად მოქმედებენ მშობლებზე, ვიდრე მშობლები მათზე. ხშირად სწორედ შვილები ახვევენ მშობლებს მოდას, ჩვევებს, ცხოვრების ნირსაც კი.

მშობელი, რომელიც რეალურად ვერ აფასებს თანამედროვე ბავშვს და აღზრდის აქტუალურ პრობლემებს, ადრე თუ გვიან ჩიხში მოექცევა. ყველასათვის მთავარია საკუთარი შვილის ბუნების შესწავლა და სწორი აღმზრდელობითი პოზიციის გამომუშავება. ამისათვის კი აუცილებელია ბავშვის ასაკობრივი და იხდივიდუალური თავისებურებების ცოდნა. მშობელმა უნდა იცოდეს, რომ ბავშვისა და მოზარდის განვითარების სხვადასხვა საფეხურს მრავალი სირთულე ახლავს.

ჩვენს სკოლაში შექმნილია მშობელთა პედაგოგიური განათლების ფაკულტეტი, რომელიც მუშაობას წარმართავს შედგენილი გეგმის მიხედვით. გეგმაში ძირითადი ადგილი უკავია იმ პრობლემების გაშუქების საკითხებს, რომელთაც თვით ცხოვრება აყენებს სკოლის, ოჯახის და საზოგადოების წინაშე.

სკოლაში კლასის ხელმძღვანელებისა და მშობლების მჭიდრო თანამშრომლობით ვახორციელებთ მუშაობას აღსაზრდელებთან.

მშობელთა კრებები ტარდება მშობელთა აქტიური მონაწილეობით. ისინი მსჯელობენ აღზრდაში მნიშვნელოვანი პრობლემების დაძლევის თაობაზე. კლასის ხელმძღვანელები მიმართავენ აგრეთვე მშობლებთან ინდივიდუალური მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს, შედეგებიც ჩანს—მრავალი სუსტი მოსწავლე გახდა მოწინავე. სკოლაში გვყავს კლასები, სადაც სამოსანი მოსწავლე არ არის. რაც შეეხება სამართალდარღვევას, უკანასკნელ ათწლეულში ადგილი არ ჰქონია სკოლის მოსწავლეთა მიერ.

ეფექტურ საშუალებად მიგვაჩნია მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების შემოწმება და ადგილზე მშობელთათვის სათანადო რჩევა-დარიგების მიცემა.

კლასებში ყურადღება ექცევა მოსწავლეთათვის ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნას, რაც ასე საჭიროა დღევანდელ ეპოქაში ეროვნული თვითშეგნების განვითარების მიზნით.

ალპანის საშუალო სკოლის კოლექტივი იმ რთულ ვითარებაშია, რომელშიც ვცხოვრობთ და ვმოქმედებთ, ერთი წუთითაც არავინ მისცემს თავს დამშვიდების უფლებას და ერთსულოვნად იბრძოლებს უკეთესი შედეგებისათვის, სკოლისა და ოჯახის კავშირის განმტკიცებისათვის, მშობელთა პედაგოგიზაციის გაუმჯობესებისათვის.

ს. ფრუიძე,

ალპანის საშუალო სკოლის დირექტორი.

არქივი ხალხის მეხსიერებაა

წინაპართა მიერ შედგენილი საბუთები მრავალი წლის შემდეგ გვახსენებენ წარსული ეპოქის მაჯისცემას, ინტერესებს, პრობლემებს, გვამხნევებენ საუკეთესო მაგალითებით და ამავე დროს გვაფრთხილებენ ისტორიის მწარე გაკვეთილებით, საშუალებას გვაძლევენ დღევანდელი თვალით გავაანალიზოთ სხვათა შეცდომები. ობიექტურად შევაფასოთ მოვლენები და მათგან გამოვიტანოთ სწორი დასკვნები, გამოყენოთ დღევანდელობის განსაზღვრაში. ამიტომაც თითოეული დოკუმენტის ოპერატიული მოძებნა და გამოქვეყნება საარქივო მუშაობის მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ბევრს ჯერ კიდევ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს არქივებზე, იგი მიაჩნიათ ძველი დოკუმენტების შენახვისა და მოქალაქეთათვის საჭირო ცნობების გამცემ დაწესებულებად. არქივების კედლებში მომუშავე არქივისტებს დღენიადაგ ქაღალდებში თავჩარგულ პირებად თვლიან, რაც არასწორია. ყველამ უნდა იცოდეს, რომ არქივებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ხალხის მომსახურების საქმეში, რომ ეს დაწესებულება მასში არსებული ძვირფასი მასალების თავისუფალი, შეუზღუდავი გაცნობა-გამოყენების დიდი შესაძლებლობის მქონეა.

ცაგერის რაიონული სახელმწიფო არქივი მუდამ მზადყოფნაშია სწრაფი და შეუფერხებელი მომსახურება გაუწიოს ხალხს და არქივში მოსულ მკვლევარებს, იმ საჭირო მასალებით, რომლებითაც მდიდარია ჩვენი არქივი, რომელთაც თვალისჩინივით ვუფრთხილდებით, ვუვლითა და ვიცავთ დაზიანებისაგან.

ყველასათვის ცნობილია, რომ საარქივო მასალები წარმოებადწესებულებებში, სკოლებში, სასოფლო საბჭოებში, კოლმეურნეობებში, კოოპერატივებში იქმნება. აუცილებლობა მოითხოვს წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მეტი ყურადღებითა და გულისხმიერებით მოეკიდონ მათთან წარმოქმნილი დოკუმენტური მასალების დაცვისა და მოვლის მდგომარეობას, უნდა გამოყონ არქივისათვის სპეციალური ოთახი და ბრძანებით პასუხისმგებელი პირები საარქივო დოკუმენტების მოვლა-პატრონობისა და დაცვის მიზნით.

ამავე დროს ვთხოვთ, ომისა და შრომის ვეტერანებს, რომლებსაც შემონახული გაქვთ თქვენი პირადი ფონდის ამსახველი საქმეები, დროულად ჩაგვაბაროთ არქივს, რათა ჩვენს მომავალ თაობას შემოვუნახოთ აღნიშნული მასალები.

აგრეთვე შევახსენებთ მოქალაქეებს, რომლებსაც რაიონული სახელმწიფო არქივიდან გეირდებათ რაიმე საბუთი, მასალა, უნდა პიროვნულად შემოიტანოთ განცხადება არქივის გამგის სახელზე. გარეშე პირის მიერ შემოტანილი განცხადება არ მიიღება და გარეშე პირზე რაიმე საბუთი, მასალა არ გაიცემა.

რაიონული არქივის მუშაკები საჭირო დახმარებას აღმოვუჩენთ წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს საარქივო მასალების დამუშავებაში, მეტ ყურადღებას მივაქცევთ მათ მოვლა-შენახვასა და სახელმწიფო არქივისათვის დროულად ჩაბარების საქმეს.

არქივის თითოეული მუშაკი ყველაფერს გაკეთებთ, რომ შეუფერხებელი მომსახურება გავუწიოთ მოქალაქეებს, არქივში მოსულ მკვლევარებს, ვეცდებით ყველანი კმაყოფილი გვყავდეს.

ჟ. ხეცურიანი,

ცაგერის რაიარქივის გამგე.

მომავალი წინაა

ზოლად გასდევდა ამ ახალგაზრდული ორგანიზაციის საქმიანობას მთელი პერიოდის განმავლობაში.

მთავარზე მთავარია ის, რომ ჩვენს ქვეყანაში კომკავშირული ორგანიზაციის ჩამოყალიბების საერთო არსში იქნა დაშვებული შეცდომა, როცა კომკავშირს მიეცა მონოპოლია ახალგაზრდობის წრეში, იგი ერთადერთი და უზურპატორი ორგანიზაცია გახდა, თანაც პარტიის ბიუროკრატიული აპარატის დანამატად იქცა.

მე ბოლო თაობის კომკავშირული ფუნქციონერი გახლავართ და მიუხედავად დიდი მინუსებისა, არა მგონია იმ ურთიერთშეკავშირების, სიყვარულის უნარი და ალღო, ამ ორგანიზაციას საქართველოს ახალგაზრდობაში რომ გააჩნდა, კარგა ხანს რომელიმე ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ კი არა, თუ გინდ პოლიტიკურმა პარტიამ შეძლოს.

რაც შეეხება ჩემი მდივნობის პერიოდს, კომკავშირი სერიოზული შეტევების რკალში აღმოჩნდა. ამ ძნელ პირობებში მეც ვაკეთებდი და მხარს ვუჭერდი საქმეს ახალგაზრდობის საერთო აზრის გათვალისწინებით.

იმ კანონზომიერი პროცესისათვის, რომელიც მაშინ კომკავშირში ხდებოდა, არც მეტი არც ნაკლები, ხელი არ შემიშლია.

ვფიქრობ, რაიონის კომკავშირულ ორგანიზაციაში დემოკრატიულად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩატარდა თვითგამორკვევის პროცესი.

—საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები და ახალგაზრდობის კავშირის პოზიცია..

საქართველოს ახალგაზრდული კავშირი, როგორც არაპოლიტიკური ახალგაზრდული ორგანიზაცია, კეთილსინდისიერად ასრულებს საზოგადოებისადმი მიცემულ თავის პირობას დეიდეოლოგიზაციის შესახებ, რაც სრულებით არ ნიშნავს თითქოს პოლიტიკურ სიტუაციას არ ვიცნობდეთ, არ თანავუგრძნობდეთ, უბრალოდ, უფრო ბუნებრივი, მისაღები ფორმა დღეისათვის ასეთი მიგვაჩნია.

მომავალ არჩევნებში ახალგაზრდული კავშირი ორგანიზაციულად არ მონაწილეობს, რაც გულისხმობს, რომ თავს ვიკავებთ არჩევნებში ვიწრო პარტიულ ბლოკებში მონაწილეობისაგან.

ახალგაზრდული კავშირის თითოეულ წევრს ეძლევა სრული დამოუკიდებლობა გააკეთოს არჩევანი, ხმა მისცეს ყველაზე საუკეთესო კანდიდატებს, მიუხედავად მათი პარტიულობისა.

—გოგი, მაინტერესებს, რატომ არ წამოაყენა ახალგაზრდობის კავშირმა თავისი დეპუტატობის კანდიდატები?

ახალგაზრდული კავშირი როგორც ორგანიზაციული, ასევე იდეურ-პოლიტიკური სრულყოფილების თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ არის მზად ესოდენ დიდი მნიშვნელობის მოვლენებში ასე თამამად გააკეთოს განაცხადი.

ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა დაიხვეწოს, უნდა თანდათან გავთავისუფლდეთ ძველი ჩარჩოებისაგან, ყველაფერი ასე უცებ არ ხდება, ხოლო როცა საზოგადოების ფართო ფენები დარწმუნდებიან ახალგაზრდული ორგანიზაციის სიკეთეში, მის პროგრესულობაში და აუცილებლობაშიც კი, ალბათ საქართველოს უზენაეს საბჭოში გამოჩნდება ახალგაზრდული კავშირის ადგილიც, მაგრამ ამისათვის დროა საჭირო.

მიუხედავად იმისა, რომ არ ვაყენებთ დეპუტატობის კანდიდატს რაიონული ორგანიზაციისაგან, არ გვინდა ამ დიდმა მოვლენამ ჩვენი პასიურობის ვითარებაში ჩაიაროს.

სათათბიროს თაოსნობით შეიქმნა ახალგაზრდული კლუბი „არჩევანი“.

ვეცდებით ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი მაინც რეგულარულად შევახვედროთ სხვადასხვა პარტიებისა თუ ბლოკების წარმომადგენლებს, რათა ჩამოვაყალიბოთ ჩვენი პოზიცია წინასაარჩევნო პერიოდში და საარჩევნო ყუთთან ჩვენი მისვლა იყოს პატიოსანი, მართალი და რაც მთავარია, პროგრესული იდეებისადმი ერთგულების წმინდა ფიცი.

მოკლე დიალოგში მეტ-ნაკლები სიცხადით გამოიკვეთა ამ ორგანიზაციის სულისკვეთება, ეროვნული პოზიციაც კი. ისმის კითხვა: გვჯეროდეს მისი და გავყვეთ?! დაე, ეს თითოეულმა ჩვენგანმა თავისით გადაწყვიტოს, რადგან ის დრო წავიდა კომკავშირი თავის იდეალებს თავზე რომ ახვევდა და აძალებდა ახალგაზრდობას. თვით ახალგაზრდობის კავშირიც ჯერჯერობით იმედით სუნთქავს, ეს იმედი თუ გადაატანინებს იმ დაბრკოლებებს, რაც გზადაგზა შეხვდება ალბათ, და რაც გარკვეულ წილად კომკავშირის არასახარბიელო რეპუტაციის ბრალია. მართალია, მხოლოდ იმედით ყოფნა ვერაფერი ბედენაა, მაგრამ ვნახოთ, მომავალი წინაა..

მადონა მახაროგლიძე,

თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების II კურსის სტუდენტი.

შავი ზღვა შველას ითხოვს

—შეიძლება თუ არა შავ ზღვაში ბანაობა?

—სამწუხაროდ, ოპტიმიზმისათვის საფუძველი არა გვაქვს.— ბქვა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ირაკლი ფაღავამ.

—წელსაც ზღვა ისევე ძლიერ არის გაჭუჭყიანებული, როგორც შარშან. გამწმენდი ნაგებობები სანაპიროზე საკმარისი არ არის. არსებულთა უმრავლესობა კი მცირე სიმძლავრისაა ან დაზიანებულია. სანიტარული სამსახური სისტემატურად ტეხს განგაშს, აჯარიმებს საწარმოთა დაუდევარ ხელმძღვანელებს, მოითხოვს დააყენონ ბიოლოგიური ფილტრები, ახალი გამწმენდი ნაგებობები. ყველაფერი ადასტურებს მოთხოვნათა სამართლიანობას, მაგრამ მხოლოდ სიტყვით, საქმით კი არაფერი იცვლება.

თუმცა ჩვენ გვაქვს ისეთი სუფთა „ოაზისებიც" როგორიც არის ბიჟვინთა, აბუსერა, ლესელიძე, ურეკი, გაგრა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სიტუაცია სოხუმში, ფოთში. ბანაობა შეიძლება, მაგრამ სიფრთხილე საჭიროა. კერძოდ, რეკომენდებულია, პირველ რიგში ბავშვებმა არ იჭყუმპალაონ, არავითარ შემთხვევაში არ გადაყლაპონ ზღვის წყალი, ბანაობის შემდეგ აუცილებლად მიიღონ შხაპი.

შავი ზღვა დაუყოვნებლივ შველას ითხოვს. ამასთან, მისი გამოჯანსაღების საკითხის გადაწყვეტა ერთი ქვეყნის ძალისხმევით შეუძლებელია. თუ შავიზღვისპირეთის ყველა ქვეყანა არ გააერთიანებს თავის ძალისხმევას ამ მიზნით, თუ არ გამოყოფენ საჭირო სახსრებს ინდუსტრიულ წარმოებაში უნარჩენო ტექნოლოგიის შემუშავებისა და დანერგვისათვის და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობისათვის, ის შეიძლება მკვდარ ზღვად გადაიქცეს უკვე მომავალი საუკუნის დასაწყისისათვის.

საჭიროა, რომ ყველამ გაიგოს: საქმე მარტო ზღვის წყლის ხარისხს კი არ ეხება, არამედ ეკოლოგიურ კატასტროფას, რომელსაც თან კაცობრიობისათვის გაუთვალისწინებელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს

(საქინფორმი)

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

განცხადება

1990 წლის 12 ოქტომბერს დღით 12 საათზე საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართება საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონული ორგანიზაციის VII კონფერენცია.

დღის წესრიგით:

1. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ცაგერის რაიონული საბჭოს ანგარიში;

2. სარევიზიო კომისიის ანგარიში;

არჩევნები:

1. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის რაიონული საბჭოს;

2. სარევიზიო კომისიის;

3. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VIII ყრილობის დელეგატების. დელეგატების დასწრება სავალდებულოა.

საზოგადოების რაიონული საბჭო

ჯილოცავთ

საყვარელო მამუკა!

გილოცავთ სამეცნიერო ხარისხის დაცვას. ვუერთდებით თქვენს დიდ სიხარულს და გისურვებთ ბედნიერ მომავალს.

სევარიონ, ტიტე, შოთა კოპალიანები ოჯახებით.

კლარა, ზაურ ახვლედიანებს ციური, ჯიმშერ მეშველიანებს

გილოცავთ შვილების, ზამირასა და ზაალის ჩარიცხვას უმაღლეს სასწავლებელში. ვუსურვებთ წინსვლასა და წარმატებებს.

ლოლა, ლუბა თუთისანები, დარეჯან, დათო მანაგაძეები.

მამუკა ვილიამის ძე გოდეთიანს

გილოცავთ მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის დაცვას. გისურვებთ ულევ წარმატებებს.

ჯუმბერ ცვარიანი, ამირან კვირკაშვილი ოჯახებით.

გივი ილარიონის ძე კვირკაშვილს

გილოცავთ 60 წლის შესრულებას. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს.

შურა, რამაზ, ლამზირა, ელისო, კობა, მამუკა.

ნინო, ნუგზარ საღინაძეებს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას, გისურვებთ აკვანთა სიმრავლეს.

საფინანსო განყოფილებისა და სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები.

ლეილა აპოლონის ასულ ნემსწვერიძეს

გილოცავთ შვილის თეას ჩარიცხვას სამედიცინო ინსტიტუტში. სიხარული და ბედნიერება ნუ მოეშალოს თქვენს ოჯახს.

ღვირიშის საექიმო ამბულატორიისა და საფერშლო-საბებიო პუნქტის თანამშრომლები.

ეთერ, ნოდარ სილაგაძეებს

გილოცავთ შვილის, ავთო სილაგაძის მიერ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის დაცვასა და პროფესორის წოდების მინიჭებას.

გივი ასათიანი ოჯახით.

შვილი კუკური გაბიანი, რძლები ფატი იაშვილი, ლამარა დოლიძე, შვილიშვილი ერმილე, ძმა სოსო გელოვანი, რძლები ლუბა, თინა გელოვანები, დისშვილები, ძმისშვილები, მუღლისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ევგენია (ჟენია) ასლანის ასული გელოვანი-გაბიანი.

დაკრძალვა 13. ოქტომბერს, შაბათს, 16 საათზე, ქ. ცაგერში.

დათო ხეცურიანი, ჯუმბერ ცვარიანი, ზაურ, სერაპიონ, გელა ახვლედიანები, გელა მამარდაშვილი, ვახტანგ ომანაძე, ბუჭუ ბენდელიანი, გივი ნემსაძე, კახა ფუტკარაძე, ბიკინა დავითულიანი, ჟორა სილაგაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჟენია ბობოხიძეს, იზო, ბახვა კოპალიანებს

გივი ალექსის ძე ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

სიდედრი თინა ბობოხიძე, ცოლისდები იზო, ნათელა, ნინელი ბობოხიძეები, ქვისლები ბახვა კოპალიანი, ანზორ მუშკუდიანი, ლერი ხუხია, სიძეები ილია ილურიძე, გოგი გოლეთიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ალექსის ძე ბურჯალიანი.

ოთარ ხაბულიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

რომან მექის ძე მანდარია.

რამაზ მეგრელი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გივი ალექსის ძე ბურჯალიანი

დავით, სამსონ კანაჩაძეები, აბესალომ გოგიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რომან მანდარია

საშსონ კოპალიანი, მიშა კვირკაშვილი, ნორა, არჩილ ჩაკვეტაძეები, მიშა ბერიძე, ვალიკო გაგელიძე, ნინა გოლეთიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რომან ძანდარია

გრიგოლ, რომან, ოთარ ლეთოდიანები, სოსო დავითულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ლია, ანზორ გუგავებს მეუღლის და სიძის

რომან მანდარიას

გარდაცვალების გამო.

შვილი ჟორა, რძლები ლენა, გულნაზი, შვილიშვილები ბელა, როსტომი, ციცინო, სიძეები მერაბი კენჭოშვილი, ბახვა ბენიძე, შვილთაშვილები, მაზლი გიორგი ყურაშვილი, შილები ცაცა, ნინა, მაზლისშვილები, დისშვილი, ძმისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოლია ანტონის ასული ახვლედიანი-ყურაშვილი.

დაკრძალვა 13 ოქტომბერს, შაბათს, სოფ. აღვში.

ცაგერის საშუალო სკოლის 1949 წლის კურსდამთავრებულები ლამარა კაჭკაჭაშვილი, ლოლა ხაბულიანი, ნაზი ლეთოდიანი, ციალა ასათიანი, ოთარი სილაგაძე, გურამი ჩარკვიანი, ბორის ხეცურიანი, ნოდარი ნემსაძე, დავით დავითულიანი, კუჭიკო ხეცურიანი, აბელ ლიპარტელიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი

ევგენია (ჟენია) ასლანის ასული გელოვანი.

ლანა რამაზის ასული საღინაძე თანაუგრძნობს თანაკლასელს ლანა ბურჯალიანს მამის

გივი ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის II-ბ კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი ეთერ კოპალიანი თანაუგრძნობენ ლანა ბურჯალიანს მამის

გივი ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

გელა მამარდაშვილი, ჯემალ ჩიკვაიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რომან მექის ძე მანდრია

ნინო, ქეთინო, ბადრი გურგუჩიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ალექსის ძე ბურჯალიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ნათლული მირანდა ლიპარტელიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

რომან მექის ძე მანდარია

ჯიბილო, ბორის მიქაძეები, იაგო ყურაშვილი, ალიოშა ბრეგვაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ალექსის ძე ბურჯალიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ვაჟა კვენტაძე, თამაზ, ნოდარ მუშკუდიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ალექსის ძე ბურჯალიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

პიერ ფუტკარაძე ოჯახით თანაუგრძნობს ჟენია ბობოხიძეს მეუღლის

გივი ალექსის ძე ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

ოლია კვირკაშვილი, კარლო ჩაკვეტაძე, იური ჩხეტიანი, მურად ლიპარტელიანი, ვალოდია, გენო ხეცურიანები, დათო გოქაძე, დათო საღინაძე, დავით ყურაშვილი თანაუგრძნობენ მათიკო გუგავას სიძის

რომან მანდარიას

გარდაცვალების გამო.

რაიარქივის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნათელა, ანზორ გუგავებს სიძის

რომან მანდარიას

გარდაცვალების გამო.

ცაგერის რაიოოპერატივის სავაჭრო ქსელის მუშაკები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რომან მექის ძე მანდარია

ლაჯანის სკოლა-ინტერნატის X კლასის მოსწავლეები თანაუგრძნობენ ლაშა, ლელა ბურჯალიანებს მამის

გივი ალექსის ძე ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

ნიურა, მურად მამუკა, იზა, თამუნა ბურჯალიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ალექსის ძე ბურჯალიანი.

ელგუჯა ბენდელიანი, თენგიზ ჩაკვეტაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჟენია ბობოხიძეს მეუღლის

გივი ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—23-41 საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №105, ! ტირაჟი 4483

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.